ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. გულით ვიცინე, მწარედ ვიტირე, ძალიან შემეშინდა და ბევრ რამეზე დავფიქრდი. „თამაში რევოლვერით“ უცნაური წიგნია, ცალსახად ვერაფრით შეაფასებთ. ვიფიქრე, ავტორზე უკეთ ვერაფერ დაახასიათებდა და ვკითხე: „გიგი, რა ამბავია ეს „თამაში რევოლვერით“?“

„მაბალოა საკუთარ მოთხრობაზე ლაპარაკი.

აქ უბნის ამბავია. კიდევ იმისა, რა შეიძლება ერთ ბიჭს შეემთხვას ერთი დღის მანძილზე. იმ დღეს ის არ არის კარგ გუნებაზე, არამართო კარგ გუნებაზე, არამედ საკუთარ თავსაც ვერ უძლებს. ეს არის თბილისელი კაცის პოზიცია, ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც ინტელექტიცა აქვს, ჰყავს მეგობრებიც, ჰყავს დედა, და რომელსაც უჭირს ამ ცხოვრების გატანა, იმიტომ რომ ასეთ ადამიანებს, ანუ ფიქრის ადამიანებს - ის ხომ ფიქრის კაცია, - ყოველთვის უჭირთ თავის გატანა. დღის მანძილზე ბევრ რამეს ნახავს - და ნავსადგურს ვერსად პოულობს, ვერც მეგობრებთან, ვერც ქალთან, ვერსად.

მისი პატარა მონოლოგიც, რომელსაც საწოლში წარმოთქვამს, ზუსტად ეს არის - მან ვერ იპოვა სულის სიმშვიდე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდა კაცია.

მე ეს მოთხრობა ბარათაშვილის ეშხით მაქვს დაწერილი, თუმცა ნამდვილი ამბავია, აბსოლუტურად რეალური. ეპოქები სასტიკად აცდენილია, მაგრამ მანაც ხომ ვერ იპოვა სულის სიმშვიდე. მთელი მისი პოეზია ხომ სულის სიმშვიდის ძიებაა. მე შევეცადე ამ მოთხრობაში რაღაცნაირად ჩემს გმირს სულის სიმშვიდის ძიებაში დაეხმარებოდი. ვერ შევძელი... ის ხომ გადახტა.“

ანა კორძაია—სამადაშვილი



## ინსტრუქცია წიგნის წაკითხვის შესახებ: „ბერიკაობა“

უმორჩილესად გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ ინსტრუქციას, კარგად დაფიქრდით და რამდენად გჭირდებათ ამ წიგნის წაკითხვა. კითხვების გაჩენის შემთხვევაში მიმართეთ ავტორს. თუ წიგნმა გარგოთ, დაუყოვნებლივ გადაეცით სხვას.

შემადგენლობა: საინტერესო ამბავი, გამართული წინადადებები, მსუბუქი იუმორი, მოკლე ტექსტები.

აღწერა: ხმელ ყდაში ჩასმული თხელი წიგნი, წარწერით - ანა კორძაია-სამადაშვილი, ბერიკაობა.

ჩვენება: იწვევს ღიმილს, გულის აჩვილებას და ისეთი გრძობა გიჩნდებათ თითქოს ახალგაზრდობის დროინდელი ადგილები მონახულეთ, ეცნობით ისეთ ადამიანებს, როგორებსაც აქამდე არ იცნობდით და გიყვარდებოდათ ისინი.

უკუჩვენება: იწყებთ ფიქრს იმაზე, რომ ცხოვრება მაშინ არის საინტერესო, როცა შენ მის შუაგულში ტრიალებ და თუ აღმოაჩენ რომ უბრალოდ მიედინები, გული დაგწყდება, რომ შენთვის უცხოა თავდავიწყება, გადარეული გულით ცხოვრება და ასე შემდეგ. ასევე შეიძლება გამოიწვიოს ნოსტალგია ემილი დიკინსონის პოეზიის მიმართ და გაგახსენდეს “მე არ ვარ ქალი, მე ვარ ფაცერი - ხარბი თევზების.” თუ ამ განცდებს და ზამთარს გადაურჩი, ე.ი. წიგნმა არ გავნო.

დოზის გადაჭარბების შემთხვევაში: თუ არ დაინდეთ წიგნი- (ან საკუთარი თავი) და “ბერიკაობა” ერთი ამოსუნთქვით წაკითხეთ, საშიშროება გემუქრებათ: თქვენ მაშინვე მოძებნით “მე, მარგარიტა”-სა და “შუშანიკის შვილებს”.

ასევე, არ შეგეშინდეთ სხვა ავტორების წაკითხვა, იკითხეთ რამდენიც გინდათ. ეს წიგნი კარგად ეგუება მაღალი ლიტერატურის ნებისმიერ გამონათებას.


შენახვის ვადა: სამუდამო.

შენახვის პირობები: შემინული წიგნის თარო 25-30 გრადუს-ცელსიუსი.

მწარმოებელი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მზიური საქართველო, თბილისი.

ბერიკაობა, ანა კორძაია-სამადაშვილი/ მაია ცერვაძე



## დათო ტურაშვილი „ჯინსების თაობა“

დათო ტურაშვილმა დაწერა წიგნი, რომელიც მწერლისგან არა მარტო შემოქმედებითობას, არამედ გამბედაობასაც მოითხოვდა, რადგან 1983 წლის 18 ნოემბერს “თბილისი და საქართველო რამდენიმე ნაწილად გაიყო”. ეს არ იყო “პეტერბურგში”, ეს იყო თბილისში, თითოეულ ოჯახში მიღებული გადაწყვეტილება.

“ჯინსების თაობა” — ეს არ არის წიგნი! ეს არის რეალური ამბავი ახალგაზრდებზე, რომლებზეც ავტორი გვეუბნება — ვისთვის გმირები და ვისთვის ტერორისტებიო. ამბავი, რომელსაც მთხრობელი ჭირდებოდა. თუ როგორ მოახერხა ტურაშვილმა სათქმელის ჩვენამდე მოტანა, ალბათ ვერც გავზომავდით, რომ არა. . .

ამბავი, რომელსაც ავტორმა “ჯინსების თაობა” დაარქვა, ზუსტად 27 წლის წინ მოხდა, მაშინ როცა “საბჭოთა კავშირში ჯინსები მართლა ვერ შეკერეს და ამიტომაც ყველაზე ბოროტი გამოსავალი მოძებნეს — ჯინსები უბრალოდ აკრძალეს”, მაშინ როცა “საფლავის მიწა ერთადერთი საკუთრება იყო”, მაშინ როცა აწ უკვე ჯინსების თაობა ჩანაფიქრშიც არ იყო! თაობა, რომელსაც არც ჯინსებისთვის უბრძოლია და არც თავისუფლებისთვის, იქნებ, ვერც ვერასოდეს “გაიგებდა” ტრაგედიას, რომელმაც საქართველო ორად გაყო.

იმას, თუ როგორ მოახერხა ავტორმა სათქმელის ჩვენამდე მოტანა, ალბათ ვერც გავზომავდით, რომ არა ცვლილებების შეგრ-






ძნება საკუთარ თავში, თვალიდან გადმოვორებული წმინდა მარილი და განცდა, თუნდაც ერთწამიანი, რომ შენი რაღაც ნაწილი დახვრიტეს და თანაც თითო ტყვიამი სამი მანეთი გადაგახდევინეს. გმირები თუ ტერორისტები? — ახალგაზრდები, რომლებმაც თავისუფლების სურვილით, პროტესტის გამოხატვით და, რაც ყველაზე მთავარია, მოქმედების სურვილით, ჩათვალეს, რომ რაღაცას მაინც შეცვლიდნენ.

“საქართველოში დღემდე უამრავ ადამიანსაც სწორედ ასე სჯერა, რომ თვითმფრინავის გამტაცემლები ახლაც ცოცხლები არიან”. . . — “ჯინსების თაობამ” მოახერხა მათი გაცოცხლება, ან იქნებ — დაბრუნება. და თუ მათ მაშინ მაინც ვერ შეცვალეს რაიმე, ახლა თითოეულ მკითხველში ცვლილება ხომ მათი დამსახურებაა?!

ამბავი, რომელიც დათო ტურაშვილმა ჯინსების მქონე თაობას მოგვიყვა, იყო მარტივი ენით გადმოცემული — როგორც ამას მეგობრებს უყვებიან და ისეთი მტკივნეული, როგორც მეგობრის დაკარგვისას.

თიკო სიმონიშვილი



## დათო ტურაშვილი „ამერიკული ზღაპრები“

ამერიკული ზღაპრები დათო ტურაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში 100 დღიანი მოგზაურობის შთაბეჭდილებები და მოგონებებია. ტურისას ამერიკა მოულოდნელობებით და ემოციებითაა აღსავსე, ან როგორ არ უნდა იყოს, როცა ავტორი იქ მართლა სემიანრზე კი არ წასულა, თავის პირველ სიყვარულს ეძებდა. გოგონას, რომელიც ოცდაერთი წელი თვალით არ ენახა და რომლისგანაც მხოლოდ ის სმენოდა, რომ საბჭოთა კავშირში დარჩენილი შეყვარებულისთვის ჯონ ლენონთან ავტოგრაფის სათხოვნელად მისული, მისი კერპის სიკვდილს შეესწრო, შემდეგ რომელიღაც შორეულ შტატში გადავიდა საცხოვრებლად და მას მერე საქართველოდან გაგზავნილ არცერთ წერილს არ გამოხმაურებია. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ პირველი სიყვარულის მისამართით აღჭურვილმა მწერალმა თითქმის მექსიკის საზღვრამდე იარა და იქიდან ისეთივე გულდაწყტილი დაბრუნდა, როგოც წლების წინ გოგონას გაცილებიდან, რადგან მაშინ მცირე ასაკის გამო შეყვარებულის სამშობლოში დატოვება ვერ შეძლო, ახლა კი უკვე ბრდასრული ქალი სხვაგან გადასულყო საცხოვრებლად. „ამერიკულ ზღაპრებში“ სიყვარულის თემა აქ არ მთავრდება. ჯაზ-კლუბში შემთხვევით ნანახი ულამაზესი მომღერალი პიეტა ბრაუნი ქართველი მწერლის ფიქრებს თავდაყირა აყენებს და რომ არა ოჯახისადმი პასუხისმგებლობა, ვინ იცის მწერალი საერთოდ ვეღარც გვენახა და მისი მოულოდნელი



სიყვარულით ინსპირირებული წიგნების წარმატებების შესახებ, მხოლოდ შორიდან გაგვეგო. თუმცა ეს არ არის წიგნი რომანტიკული თავგადასვლებზე. მასში თქვენ უამრავ საინტერესო ადამიანს გაიცნობთ და მათ ამბებზე ხან გულით იცინებთ, ხანაც (განსაკუთრებით სენტიმენტალურებს) ცრემლი მოგადგებათ. ნახავთ, როგორ ატარებდნენ ლიტერატურულ ქალაქად წოდებულ აიოვიაში მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული თანამედროვე მწერლები დროს, მათი საფეხბურთო მატჩების ანგარიშებსაც ჩაიბარებთ და ცნობისმოყვარე ამერიკელ სტუდენტებისთვის წაკითხულ ლექციებსაც დაესწრებით, ნახავთ, როგორ შეხვდებიან კალმოსნები კურტ ვონეგუტს და ედგარ კერეთს, როგორ იმოგზაურებენ ჩიკაგოში და ნიუ იორკში, სადაც თერთმეტი სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გამეფებულ საზარელ სიჩუმესაც გაიგებთ, არც საქართველოს დაივიწყებთ და ჯეინ ფონდას, ბობ დილანის და ალან გინზბერგის ქართულ თავგადასავალსაც გაიხსენებთ და “მოგზაურობით” სასიამოვნოდ დაღლილი წიგნს დახურავთ, რადგან 170 გვერდი სულმოუთქმელად იკითხება, სულერთია სახლში, კომფორტულ სავარძლეში ზიხართ და თან ჩაის წრუპავთ თუ ტრანსპორტში დგახართ და მგზავრების ალმაცერ მზერას ირიდებთ, რომელთაც ჰგონიათ, რომ წიგნი მხოლოდ მათ დასანახად გადაგიშლია. სინამდვილეში კი თქვენ ერთი მიზეზი გექნებათ “ამერიკული ზღაპრები” თანამედროვე, მარტივი ენით დაწერილი, ფრიად შთაბეჭდავი ამბავია, რომელიც ერთდროულად ძალიან ქართულიცაა და თან იმ გარემოში ვითარდება, რომელიც მკითხველისთვის მანამდე უცხო, ვიდრე ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით “საკუთარ” ამერიკას არ აღმოაჩენს.

მაშო სამადაშვილი



# საქართველოს პარლამენტის ქრონიკული ბიბლიოთეკა



## National Parliamentary Library of Georgia


[www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

## დათო ტურაშვილი „ტიბეტი არ არის შორს“

დათო ტურაშვილის წიგნში „ტიბეტი არ არის შორს“ ავტორი მოგვითხრობს ქართველთა მოგზაურობაზე იმ საოცარ ქვეყანაში, რომელიც „თავიდან შორეულ ოცნებას ჰგავდა და ბავშვობის წიგნებში თუ ამოგვეკითხა შემთხვევით“. მწერალი თავის სტილში, მხატვრულ-დოკუმენტურად გვიყვება იქ მომხდარ, ტიბეტური სიყვარულის ისტორიით გაჯერებულ ამბებს. კითხვისას ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ტურაშვილი გვერდით გიზის და უდიდესი გულწრფელობითა და ემოციით გიზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს – ისე, როგორც მეგობარი მეგობარს. გარდა ამისა, მწერალი კიდევ ერთ საოცარ რამეს ახერხებს: საბჭოთა სივრცეში გაზრდილ ქართველს, ერთი შეხედვით, ცოტა რამ თუ უნდა ჰქონდეს საერთო ჰიმალაის ამ ერთი ციცქნა კულტურასთან, მაგრამ დათო ტურაშვილი თავისი სასიამოვნო თხრობითა და მაღალი ინტელექტით ახერხებს დაგვანახოს ის საოცარი დამაკავშირებელი ძაფები, რომელშიც ამ ორ თავისუფლებისმოყვარე ერს შორისაა გაბმული. ყოველივე ამის შემდეგ კი მკითხველის გულშიც ჩნდება ის პატარა ადგილი, რომელსაც ტიბეტი ჰქვია.

თავად წიგნი კი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და სასიამოვნო გემოს გიტოვებს. ამას ერთვის ისიც, რომ დინამიკური თხრობა ბოლო გვერდამდე შენარჩუნებულია და ჯერ კიდევ გაურკვეველ და ორიგინალურ სიყვარულის ამბავს, ბოლომდე გულშემმატკივრობ. საბოლოო კვანძი კი ბოლო წინადადებაში იხსნება, როდესაც ავტორი ყველას გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ნებისმიერმა ჩვენგანმა აღმოაჩინოს საკუთარი ტიბეტი – ქვეყანა, რომელიც არ არის შორს !


მიხეილ ციხელაშვილი



## თამთა მელაშვილი „გათვლა“

თამთა მელაშვილის სადებიუტო წიგნი „გათვლა“ „დიოგენემ“ 2010 წელს გამოსცა. 2011-ში ამ ვრცელმა მოთხრობამ, ან ვინ იცის, იქნებ - მიკრორომანმა მიიღო პრემია „საბა“, როგორც საუკეთესო სადებიუტო ნაწარმოებმა. წიგნის მთავარი გმირები რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ და ცდილობენ გაუძლონ იმ ვალდებულებათა სიმძიმეს, რომელიც შექმნილ სიტუაციაში მათ სუსტ, ჯერ კიდევ ბავშვურ მხრებს დააწვა. თამთა მელაშვილი ახერხებს დამაჯერებლად დახატოს ცამეტი წლის ორი გოგონას პოტრეტი საომარი მოქმედებების ფონზე. ავტორი ქმნის ტილოს, რომლის ყველა პლანი მკვეთრია და ამავე დროს ერთიანი ემოციის, გრძნობის გადმოცემას ემსახურება. ბრძოლა თვითგადარჩენისათვის, ურთიერთობა ოჯახთან, ახლობლებთან, თანასოფლელებთან, თინეიჯერული პრობლემები, ომის სისასტიკე, სიყვარული... თამთა მელაშვილს არაფერი გამოჩენია! უჩვეულო სინტაქსური წყობის გამო ტექსტი რთულად იკითხება, მუდმივ კონცენტრაციას მოითხოვს და მკითხველს მოდუნების საშუალებას არ აძლევს. თუმცა წიგნის უნიკალურობა ამით არ ამოიწურება: „გათვლა“ ქართულ რეალობაში პირველი ნაწარმოებია, რომელშიც ავტორი 2008 წლის აგვისტოს ომის ჯერ შეგრძნებას და შემდეგ გაანალიზებას ცდილობს. მრავალი კოლეგისაგან განსხვავებით, მელაშვილს ეყო გამბედაობა სინამდვილისათვის თვალი გაესწორებინა, რეალური პრობლემები დაენახა და საზოგადოებისათვის მწარე, მაგრამ ეფექტიური სამოცდაათგვერდიანი წამალი გამოეწერა.

ნიკოლოზ ავლაძე



## ლაშა ბულაძე „ნავიგატორი“

წიგნში, რომელსაც ვკითხულობ, ყოველთვის ვეძებ საკუთარ თავს- განცდილ გრძნობას, ბავშვობის მოგონებას, აუხდენელ ოცნებას, შენი თმის ფერს, ჩვენი საერთო მეგობრის თვისებას თუ ძილის წინ საკუთარი თავისთვის ”მოყოლილ ზღაპრებს”.

მაშინ, როცა დროსაც კი აღარ აქვს დრო, იქნებ, ბუნებრივ-ცაა, რომ ლიტერატურისათვის წაყენებული მოთხოვნები ცოტათი შეიცვალა. შეიძლება, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ უკვე ბევრჯერ განვიცადეთ რომეოსა და ჯულიეტას ტრაგიკული სიყვარული ან, უბრალოდ, ჩვენი ცხოვრების სწრაფი რიტმი აღარ გვაძლევს სა-შუალებას, სხვისი ცხოვრება ისე “გავითავისოთ”, როგორც ადრე.

როცა, ლაშა ბულაძის “ნავიგატორს” ვკითხულობდი, მეგონა, რომ მთავარი გმირის პროტოტიპი თითოეულ ჩვენგანში იმალებოდა. საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანები, მართლობისა და არარეალიზებული-ბის შეგრძნება, რობოტების მსგავსად დაპროგრამირებული ადამიანები თუ ადამიანებისა და ტექნოლოგიების ბრძოლა “პირველობისთვის”, ჩვენი ცხოვრება თუ არა, მისი განუყოფელი ნაწილი მაინც გახდა.


საკუთარი თავის ამოცნობა “ნავიგატორის” პერსონაჟებში, ალბათ, უფრო მტკიცეული იქნებოდა, რომ არა ავტორის შესა-ნიშნავი უნარი აბსურდამდე მისული ჩვენი ცხოვრება ტრაგიკო-მიკურად აღეწერა.

დარწმუნებული ვარ, ლაშას მიერ შექმნილი რეალობისა და აბსურდის ზღვარზე მყოფი სიუჟეტი ყველა თქვენგანისთვის ნამ-დვილად გასაგები და ახლობელი იქნება.

უმორჩილესად გთხოვთ, პიესის წაკითხვის შემდეგ არ გაესა-უბროთ ნივთებს და შეეცადეთ, თავი აარიდოთ მანქანებს, რომ-ლებშიც ნავიგატორის აჩრდილები ცხოვრობენ. დაიმასხოვრეთ, ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ თქვენც...

“არ მოდის ჩემი ხმა? გამეცი პასუხი! რა გავაკეთო, რომ მეკონ-ტაქტო? გეხვეწები... მეწყინება, იცოდეთ გთხოვ... ძალიან გთხოვ...”

ნინო ჭყოიძე




## დათო ტურაშვილი „ჩაძირული ქალაქის ღამე“

ქალაქი, რომელიც ჩაიძირა, ქალაქი რომელიც სამუდამოდ თუ არა, კარგად დიდი ხნით მაინც, მიეფარა ცოცხალთა თვალს. ქალაქი, რომელსაც კატასავით რამდენიმე სული ჰყავს - ერთი, რომელიც ღამით იღვიძებს, ერთი, რომელიც დღისით ჩანს, ერთიც მიწისქვეშ.

ტურაშვილის „ჩაძირული ქალაქის ღამეში“ — თბილისის ერთ-ერთი სული ჩანს. ყველაზე შთამბეჭდავი მასში ისაა, მხატვრული სინამდვილე რომ ჩასჭიდება რეალურ სინამდვილეს და რაღაც უხილავი მანქანებით (სავარაუდოდ დროის), გადაჰყავს მკითხველი მეორე თბილისში ან უფრო სწორედ ტიფლისში — იმ ზღაპრულ ტიფლისში, სადაც მოკირწყლულ ქუჩებზე წკრიალი გაუდის ეტლის ბორბლებს, სადაც ჩოხებში გამოწყობილი ხალხი გოლოვინსკის პროსპექტზედ მისეირნობს გულარხეინად.

წიგნის ძირეული სიუჟეტი - პატრიკი და მისი ძიებანი მფრინავი ხალიჩისათვის, რომელიც არ დაფრინავს (საოცარია რატომ), ქართველი ცოლი და სხვა, ქმნის არგონავტების მითის ასოციაციას — როგორც იაზონი ჩამოდის ოქროს საწმისის წასაღებად, რომელიც ერთი ვერსიით ცხვრის ტყავზე დაწერილი ოქროს მიღების ხერხებია, იტაცებს მედეას და გარბის (აკი, კიდევ შენიშნავს ავ-



ტორი, რომ პატრიკის პაპას “ყველაზე კარგად სწორედ მფრინავი ხალიჩის ლეგენდა ახსოვს, - მაგათ ეგლა დარჩათ ყველაზე ძვირფასი, ადრე ოქროს საწმისიც ჰქონდათ, მაგრამ ბერძნებმა უმუხბოლეს, წაიღეს და უკან აღარ დააბრუნეს”), ასევე პატრიკ-მაც წაიღო და აღარ დააბრუნა მფრინავი ხალიჩა, რომელიც არ დაფრინავს. მან ტიტანიკთან ერთად ფსკერზე დაიდო ბინა. ველარავინ მისწვდება. ხალიჩაც ისევე ჩაიძირა, როგორც ტიფლისი.

ტიფლისი. ამ რომანში ყველაზე უფრო სწორედ რომ ეგ მხიბლავს. ჩემთვის მთავარი პერსონაჟი სწორედ ის არის. აქამდე არასდროს მიფიქრია მეძებნა ტიფლისი დამშრალი მტკვრის ნაპირებზე. ნაცვლად ამისა, დავდიოდი ძველ უბნებში და ვჩხრეკავდი კვალს, რაც კი დროთა სრბოლას გადაურჩა. “ჩაძირული ქალაქის ღამემ” მომანდომა მეტი წამეკითხა ტიფლისზე, მეტი მცოდნოდა, მომანდომა მეც შემეგრძნო ის, რასაც ბარათაშვილი განიცდიდა მტკვრის ნაპირას მოსეირნე.

ტიფლისი. ის დღესაც არსებობს. შებინდებისას თუ ჩამოკლებით მტკვრის პირას ადუღებული ქალაქის მიღმა, შეიძლება დაინახოთ კიდევ ის სული აჩრდილი და არა მარტო დაინახოთ. ყური დაუგდეთ ჩაძირული ქალაქის ხმაურს.

ქეთევან ქევანიშვილი

ბესტსელერი






## გამომცემლობა კეგანი

დასახელება: ძველი  
ბერძნული მითოლოგია  
ავტორი: ნიკოლაი კუნი  
ზომა: 14.5X21 სმ.  
404 გვ.  
ყდა: მაგარი



დასახელება: რაღამი  
ავტორი: თემურ ელიავა  
ზომა: 11.5X16.5 სმ.  
64 გვ.  
ყდა: რბილი



დასახელება: განდი  
ავტორი: სუსმიტა არბი  
ზომა: 11.5X19 სმ.  
168 გვ.  
ყდა: რბილი


დასახელება: სამკუთხედი  
ავტორი: ნენე გიორგაძე  
ზომა: 14.5X21 სმ.  
96 გვ.  
ყდა: რბილი



დასახელება: გლობუსას და  
ლუკას თავგადასავალი  
ავტორი: თამრი ფხაკაძე  
ზომა: 21X29.5 სმ.  
104 გვ.  
ყდა: მაგარი

>>

დასახელება: თორმეტი  
კეისრის ცხოვრება  
ავტორი: გაიუს სვეტონიუს  
ტრანკვილუსი  
ზომა: 14.5X21 სმ.  
420 გვ.  
ყდა: მაგარი



დასახელება: ქარავანი  
ავტორი: ჰაუფი  
ზომა: 22X22 სმ.  
120 გვ.  
ყდა: რბილი





დასახელება: ოთართან ერთად  
ავტორი: თამაზ ჭილაძე  
ზომა: 14.5X21 სმ.  
252 გვ.  
ყდა: მაგარი + სუპერი



დასახელება: ვაჟა-ფშაველა  
ავტორი: მიხო  
მოსულიშვილი  
ზომა: 11.5X19 სმ.  
404 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: სტრატეგია  
ავტორი: მიხეილ ანთაძე  
ზომა: 14.5X21 სმ.  
??? გვ.  
ყდა: რბილი



## შეს გაკურ სულაკაურის გამომცემლოგა




დასახელება:  
ამერიკული ზღაპრები  
ავტორი: დათო ტურაშვილი  
ზომა: 13X19.5 სმ.  
174 გვ.  
ყდა: რბილი

დასახელება: ობოლე  
ავტორი: აკა მორჩილაძე  
ზომა: 13X20 სმ.  
260 გვ.  
ყდა: რბილი

დასახელება: ომობანა  
ავტორი: ბასა ჯანიკაშვილი  
ზომა: 13X19.5 სმ.  
166 გვ.  
ყდა: რბილი

დასახელება: შუშანიკის  
შვილები  
ავტორი: ანა კორძია-  
სამადაშვილი  
ზომა: 11X17 სმ.  
120 გვ.  
ყდა: რბილი

დასახელება: ნავიგატორი  
ავტორი: ლაშა ბუღაძე  
ზომა: 13X19.5 სმ.  
128 გვ.  
ყდა: რბილი



## კლიო


დასახელება:  
საქართველოს  
100 ღირსშესანიშნაობა  
ავტორი: ნოდარ  
ელიზბარაშვილი,  
ბონდო კუბატაძე  
ზომა: A4  
120 გვ.  
ყდა: +სუპერი

## გერილიანი

დასახელება:  
სამოსელი პირველი  
ავტორი: გურამ  
დონანაშვილი  
ზომა: A4  
664 გვ.  
ყდა: მავარი

## სეზანი

დასახელება: ამირანი  
ავტორი: თამარ შარაბიძე  
ზომა: 25 X 22 სმ.  
80 გვ.  
ყდა: რბილი



## გამომცემლოგა ინელექტი

დასახელება: ლევს საათი  
ავტორი: ირაკლი სამსონაძე  
ზომა: 14.5X20.5 სმ.  
316 გვ.  
ყდა: რბილი


დასახელება: ციფლიბანდი  
ავტორი: ზვიად  
კვარაცხელია  
ზომა: 114x18 სმ.  
212 გვ.  
ყდა: რბილი

## გამომცემლობა ბაკმი


დასახელება: “ბასტი-ბუმბუ“  
— პირველი ქართული  
მუსიკალური წიგნი კარავაკე  
ავტორი: დათო ტურაშვილი  
ზომა: 23X52 სმ.  
16 გვ.  
ყდა: მაგარი



დასახელება: ზღაპრები  
ბექნა ბიჭვე  
ავტორი: ბონდო მაცაბერიძე  
ზომა: 21.5X22.5 სმ.  
64 გვ.  
ყდა: მაგარი



დასახელება: სამყარო  
ჩვენს გარშემო  
ავტორი: ბასა ჯანიკაშვილი  
ზომა: 26X27 სმ.  
16 გვ.  
ყდა: მაგარი




დასახელება:  
ვეფხისტყაოსანი  
ავტორი: შოთა რუსთაველი  
ზომა: 19x13 სმ.  
424 გვ.  
ყდა: მაგარი, ყუთი

დასახელება: ოთხი რომანი  
ავტორი: გოდერძი ჩოხელი  
ზომა: 15.5X23 სმ.  
768 გვ.  
ყდა: მაგარი, სუპერი

>>  
დასახელება: უქარქაშო  
ხმლები  
ავტორი: ლევან სანიკიძე  
ზომა: 20X29 სმ.  
676 + 64 გვ. ფერადი ჩანართი  
ყდა: მაგარი, სუპერი



დასახელება: სონეტები  
ავტორი: უილიამ შექსპირი  
ზომა: 12.0X19.5 სმ.  
344 გვ.  
ყდა: მაგარი



## შეგეგმვა

დასახელება: ფიროსმანი  
ანუ სიკვდილით იწყება  
სიცოცხლე (ბიოგრაფიული  
რომანი)  
ავტორი: მამია  
ჩორგოლაშვილი  
ზომა: 20X27 სმ.  
260 გვ.  
ყდა: მაგარი, სუპერი

დასახელება: სივი  
ავტორი: თამრი ფხაკაძე  
ზომა: 14X21 სმ.  
360 გვ.  
ყდა: რბილი

## კალიტრა


დასახელება: 99 ფრანკი  
 ავტორი: ფრედერიკ ბეგბედერი  
 ზომა: 15.5X21.5 სმ.  
 228 გვ.  
 ყდა: მაგარი

დასახელება: დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია  
 ზომა: 20X30.5 სმ.  
 620 გვ.

ყდა: მაგარი  
 რეპრინტი: მესამე გამოცემა

დასახელება: ძმები კარამაზოვები, ტომი I  
 ავტორი: ფიოდორ დოსტოევსკი  
 ზომა: 15.5X21.5 სმ.  
 440 გვ.  
 ყდა: მაგარი

დასახელება: ძმები კარამაზოვები, ტომი II  
 ავტორი: ფიოდორ დოსტოევსკი  
 ზომა: 15.5X21.5 სმ.  
 528 გვ.  
 ყდა: მაგარი  
 128 გვ.



>>  
 დასახელება: საქართველოს ისტორიის ოთხტომეული ტომი I  
 ავტორი: ფრედერიკ ბეგბედერი  
 ზომა: 17X24.5 სმ.  
 336 გვ.  
 ყდა: მაგარი, ყუთში

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული ტომი II  
 496 გვ.

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული ტომი III  
 560 გვ.

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული ტომი IV  
 560 გვ.

დასახელება: ქართული სამზარეულო  
 ავტორი: მიხო მოსულიშვილი  
 ზომა: 22.5X28 სმ.  
 120 გვ.  
 ყდა: მაგარი



## საქართველოს მაცნე

დასახელება: კონსტანტინე გამსახურდია VII ტომი  
 ზომა: A 5  
 464 გვ.  
 ყდა: მაგარი  
 დასახელება: კონსტანტინე გამსახურდია VIII ტომი  
 596 გვ.

დასახელება: რევაზ ინანიშვილი VI ტომი  
 ზომა: A 5  
 612 გვ.  
 ყდა: მაგარი

დასახელება: გოდერძი ჩოხელი IV ტომი  
 ზომა: A 5  
 440 გვ.  
 ყდა: მაგარი

## ქართული ბიოგრაფიული ცენტრი

დასახელება: განდი  
ავტორი: ავტობიოგრაფია  
ყველა წიგნის ზომა:  
15.5X21.5 სმ.  
452 გვ.  
ყდა: მაგარი




დასახელება: ჩერჩილი  
(2 წიგნად)  
ავტორი: რიჩარდ ჯინსი  
I ტ. — 296 გვ.; II ტ. — 256 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: ვაჟა-ფშაველა  
ავტორი: გიგი ხორნაული  
240 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: ბიტლზი  
ავტორი: ჰანტერ დეივისი  
288 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: მარკესი  
ავტორი: რუბენ პელაიო  
224 გვ.  
ყდა: მაგარი

>>



დასახელება: ნაპოლეონი  
ავტორი: ალექსანდრე დიუმა  
320 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: ათათურქი  
ავტორი: ლორდი კინროსი  
320 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: კოკო შანელი  
ავტორი: ანრი გიდელი  
336 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: ჩარლი ჩაპლინი  
ავტორი: სტივენ ვაისმენი  
304 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: რონალდ რეიგანი  
ავტორი: ავტობიოგრაფია  
336 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: ვენეციელი  
მარკო პოლო  
ავტორი: ჰენრი ჰანტი  
320 გვ.  
ყდა: მაგარი

დასახელება: ალფრედ ნობელი  
ავტორი: კენე ფანტი  
336 გვ.  
ყდა: მაგარი



## სიესტა


დასახელება: მელია  
ტულეფია Foxtrot  
ავტორი: ზურაბ ქარუმიძე  
ზომა: 13.5X20 სმ.  
232 გვ.  
ყდა: რბილი

დასახელება: ორი  
მთვარის ამბავი  
ავტორი: ბექა ქურხული  
ზომა: 14X20 სმ.  
164 გვ.  
ყდა: რბილი

დასახელება:  
არგენტინული პიტბული  
ავტორი: სანდრო ნავერიანი  
ზომა: 12X19 სმ.  
236 გვ.  
ყდა: რბილი

დასახელება:  
აპოკალიპტური მხეცი  
ავტორი: გიორგი მაისურაძე  
ზომა: 12X12 სმ.  
94 გვ.  
ყდა: რბილი

დასახელება:  
ექსპერიმენტული განცდები  
ავტორი: პაატა ქურდაძე  
ზომა: 12X19 სმ.  
217 გვ.  
ყდა: რბილი



გაგონიერება  
კალიბრა L



50 წიგნი

როგორც უნდა ნაიკითხო  
სანამ მოხვალ ხარ



საუკუნის ყველაზე  
კარგად გაყიდვადი  
სერია საქართველოში!

## საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის მთავარ ამოცანას საქართველოში წიგნის სექტორის განვითარება, ქართველი ავტორებისა და გამომცემლობების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების ახალი გამოცემებით გამდიდრება და ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია წარმოადგენს. საქართველო ყოველწლიურად მონაწილეობს ფრანკფურტის და ლაიფციგის საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე, სადაც ქართველ გამომცემლობებისა და მწერლებისთვის სხვადასხვა ტიპის პრეზენტაცია და ღონისძიება იგეგმება და არაერთ უცხოელ გამომცემელს, ექსპერტს, მთარგმნელს, თუ ლიტერატურულ აგენტს თანამედროვე ქართული ლიტერატურის გარშემო აერთიანებს. ქართველი მწერლების და მათი შემოქმედების უცხო ენებზე თარგმნა და გამოცემა სამინისტროს ერთ-ერთი უცვლელი პრიორიტეტია. 2010 წელს პროგრამის

ფარგლებში უცხოელი გამომცემლობებისთვის გამოცხადდა მთარგმნელობითი კონკურსი, რომელიც ითვალისწინებს ქართველი ავტორების თარგმნითა და გამოცემით დაინტერესებული უცხოური გამომცემლობებისთვის თარგმანების დაფინანსებას და, შესაბამისად, ქართული ლიტერატურის უცხოური თარგმანების მიმართულების განვითარებას და ქართველი ავტორების და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. კონკურსის ფარგლებში 2011-2012 წლებში ათამდე საერთაშორისო პროექტი განხორციელდა: გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ იტალიურ, შვედურ, რუსულ და პოლონურ ენებზე ითარგმნა და გამოიცა არაერთი ქართველი ავტორის ნაწარმოები. გერმანიასა და აშშ-ში გამოიცა თანამედროვე ქართული მოთხრობების ანთოლოგიები, რომელთა პრეზენტაციები გაიმართა ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე და აშშ-ში. სამინისტროს მიერ მთარგმნელობითი კონკურსის გამოცხადებამ კიდევ უფრო მეტად დინამიური გახადა უცხო ენებზე



საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო

ქართული ლიტერატურის თარგმნის პროცესი; ყოველწლიურად იზრდება უცხოელი გამომცემლობების ინტერესი ქართული ლიტერატურის მიმართ. თარგმანების ხელშეწყობა, რომელიც ქართული ლიტერატურის და, ზოგადად, ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიმართულებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მომავალ წლებშიც გაგრძელდება და უფრო მასშტაბური და მაქსიმალურ შედეგზე ორიენტირებული იქნება. დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ვებ-გვერდზე [www.book.gov.ge](http://www.book.gov.ge).

**მედია მეტრეველი**  
**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი**



## თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამა

ექსპო ჯორჯიას ფარგლებს გარეთ  
დაგეგმილი ღონისძიებები:

### 22 მაისი

10:30—15:00

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში დაგეგმილია ლიტერატურული ფორუმ—დიალოგი გამომცემლებისთვის, მწერლებისთვის და მთარგმნელებისთვის (პირველი დღე)

### 23 მაისი

10:00—14:30

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში დაგეგმილია ლიტერატურული ფორუმ—დიალოგი გამომცემლებისთვის, მწერლებისთვის და მთარგმნელებისთვის (მეორე დღე)

### 25 მაისი

19:00—20:00

შეხვედრა ნატო დავითაშვილთან და წიგნის „ოთხი მხარე და ოთხი სვეტი“ კითხვა წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“.

20:00—21:00

lit.ge-ს პრეზენტაცია „ონლაინ წიგნების მაღაზია lit.ge“ წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“.

### 27 მაისი

20:00—21:00 —რუმინული პოეზიის კითხვა

ლიტერატურულ კაფეში ბამბის რიგზე: ალექსანდრე ვაკულოვსკისა და მონი სტანილას პოეზიის საღამო.

### ექსპო ჯორჯიას მე—11 პავილიონში

დაგეგმილი ღონისძიებები:

### 24 მაისი/

15:00—15:40—lit.ge-ს პრეზენტაცია „ონლაინ წიგნების მაღაზია lit.ge“

17:00—17:30 —რუმინული პოეზია: ალექსანდრე ვაკულოვსკი და მონი სტანილა.

### 25 მაისი

14:00—14:30— ქარჩხაძის გამომცემლობა— ნატო დავითაშვილის წიგნის „ოთხი მხარე და ოთხი სვეტი“ პრეზენტაცია.

15:00—15:30— ბაკურ სულაკაურის

გამომცემლობა მართავს ლიტერატურული პრემია „წლის საუკეთესო მოთხრობის“ დაჯილდოების ცერემონიას.

### 26 მაისი

13:00—13:30- გამომცემლობა „სეზანის“ წიგნის "ამირანი" პრეზენტაცია. მთხრობელი თამარ შარაბიძე.

## თბილისი ბანკი წარმოგიდგინო

ლიტერატურული კონკურსის „საბა“ 2012 წლის ფინალისტების წარდგენა თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში

### 24 მაისი, 14: 30 სთ

„საბას“ ფინალისტების გამოცხადება ნომინაციაში „წლის საუკეთესო პროზაული კრებული“  
შეხვედრა ფინალისტ კონკურსანტებთან

### 26 მაისი, 14: 00 სთ

„საბას“ ფინალისტების გამოცხადება ნომინაციაში „წლის საუკეთესო რომანი“  
შეხვედრა ფინალისტ კონკურსანტებთან

### 27 მაისი, 14: 00 სთ

„საბას“ ფინალისტების გამოცხადება ნომინაციაში „წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა“  
• შეხვედრა ფინალისტ კონკურსანტებთან



## გაკურ სულაკაურის გამომცემლობის პროგრამა

თუ გიყვართ ლიტერატურა და თავს გურმანად თვლით, „ლიტერატურა გურმანებისთვის“ თქვენთვის შექმნილი პროექტია. ეწვიეთ „გაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სტენდს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე 24-დან 27 მაისის ჩათვლით, დაესწარით ფესტივალიდან ფესტივალამდე გამოცემული წიგნების განხილვებს, შეხვედით მათ ავტორებს, მოუსმინეთ მათ დიალოგს მოდერატორებთან და დაუსვით კითხვა ნებისმიერ მათგანს. დააგეგმეთ მათ მიერ თქვენთვის მომზადებული კერძები და შეაფასეთ ისინი როგორც კულინარები.

### 24 მაისი ხუთშაბათი

დრო	მწერალი	წიგნი	მოდერატორი
14:00	დიანა იანსე	ავღანური დღიურები	ლიკა ჩაფიძე
17:00	ჯაბა ზარქუა	მკითხველი უნდა მოკვდეს	ნინო თარხნიშვილი

### 25 მაისი პარასკევი

დრო	მწერალი	წიგნი	მოდერატორი
13:00	მარი ბექაური	ელექტროთაობა	ანინა ტეფნაძე
15:00	15 საუკეთესოს დაჯილდოვება		
17:00	მაია ბლიაძე - ბუნებისმეტყველების ლექსიკონი		

### 26 მაისი შაბათი

დრო	მწერალი	წიგნი	მოდერატორი
13:00	ირაკლი მახარაძე	ველური დასაფლეთის მხედრები	გიორგი კეკელიძე
17:00	დათო მაჭავარიანი	ვეფხისტყაოსანი	თეონა დოლენჯაშვილი

### 27 მაისი კვირა

დრო	მწერალი	წიგნი	მოდერატორი
13:00	ზურაბ ლეჟავა	სინაღდე სიყალბისა	ბაკურ სულაკაური
17:00	ვოგა ჩანადირი	ეს საოცარი საქართველო	თინა მამულაშვილი

კატალოგზე მუშაობდნენ:


ნინო გოგინაშვილი, ქეთი გაგლოშვილი  
დღიანი: მანანა არაბული / zangodesign

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია განსაკუთრებულ მადლობას უხდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გაწეული მხარდაჭერისთვის



კატალოგის სარედაქციო ჯგუფი ასევე მადლობას უხდის მედია მეტრეველს, ირინე ჭოდოშვილს, თამაზ მელაშვილს, ანა კორძაია-სამადაშვილის და საგამომცემლო სახლებს თანამშრომლობისთვის და მასალების მოწოდებისთვის.

კატალოგი დაიბეჭდა  
2012 წ.





# გაგორცევა



აღმაშენებლის გამზ. №181, თბილისი, 0112, ტელ: (995 32) 234 04 30  
ვებგვერდი: [www.klio.ge](http://www.klio.ge) ელფოსტა: [book@klio.ge](mailto:book@klio.ge) [kliopublishing@gmail.com](mailto:kliopublishing@gmail.com)